



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წლის 6 ივლისის  
N733 დადგენილებით  
მოდულიზირებულია  
სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2018 წლის 26 ივნისის  
№ 01-05-04/163 დადგენილებით

## ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ინფორმატიკა

Informatics

### ფაკულტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების

Informatics and Control Systems

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი მედეა თევდორაძე

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ინფორმატიკის ბაკალავრი  
(Bachelor in Informatics)

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS).

უნდა ვაღნიშნოთ, რომ წინამდებარე პროგრამა დაფუძნებულია არჩევითობის პრინციპზე, რაც გულისხმობს შემდეგს: სტუდენტს სასწავლო პროგრამის ფარგლებში გარდა სავალდებულო სასწავლო კურსებისა შეუძლია გააკეთოს არჩევანი – არჩევითი სასწავლო კურსებიდან, არჩევითი ბლოკებიდან და თავისუფალი კომპონენტებიდან.

თავისუფალი კომპონენტებიდან სასწავლო კურსის არჩევასთან დაკავშირებით სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება.

რაც შეეხება არჩევას არჩევითი სასწავლო კურსებიდან ან არჩევითი ბლოკებიდან – აქ სტუდენტი არჩევანს ახდენს პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო რუქებზე დაყრდნობით (თან ერთად).

**სასწავლო წლის სასწავლო პროცესი:** (ორი სემესტრის 21-21 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: ერთი კვირა, კერძოდ VII კვირა შუალედური გამოცდა, ხოლო საკურსო პროექტის დაცვა ხორციელდება მე-17 კვირაში. ე.ი. სწავლება და ერთი შუალედური შეფასება ხორციელდება 17 კვირის განმავლობაში (I-XVII კვირა). XVIII- დან XXI კვირის ჩათვლით ტარდება გამოცდები (ძირითადი და დამატებითი).

**პირველი სასწავლო წლის პირველ და მეორე სემესტრში სასწავლო პროცესი:** თითოეულ სემესტრში სტუდენტი სწავლობს ექვს-ექვს სასწავლო კურსს, რაც სემესტრულად იძლევა 30 კრედიტს, საერთო ჯამში კი 60 კრედიტს.

**პირველი სასწავლო წელი. პირველ სემესტრში** სტუდენტი სწავლობს ექვს სასწავლო კურსს. მათგან ერთს ირჩევს უცხოური ენების საგნებიდან (5 კრედიტი).

**პირველი სასწავლო წელი – მეორე სემესტრში** სტუდენტი სწავლობს ექვს საგანს. მათგან სამი არჩევითია. ერთს ირჩევს უცხოური ენების საგნებიდან (5 კრედიტი), ერთს – კომპიუტერული გრაფიკის საგნებიდან (4 კრედიტი), და მესამე – თავისუფალი კომპონენტიდან.

**მეორე სასწავლო წელი. მესამე სემესტრში** სტუდენტი სწავლობს ექვს საგანს (30 კრედიტი). მათგან ოთხი არჩევითია. ერთს ირჩევს მათემატიკური საგნებიდან („დისკრეტული მათემატიკა“ ან „კომპიუტერული მათემატიკის საფუძვლები“ - 5 კრედიტი), მეორეს – დაპროგრამების საგნებიდან (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 – 5 კრედიტი). მესამეს – სოციალური მეცნიერებებიდან (5 კრედიტი). ერთს ირჩევს არჩევითი ბლოკი 1-დან – კომპიუტერული არქიტექტურა და კომპიუტერის არქიტექტურისა და ორგანიზაციის საფუძვლები (5 კრედიტი)

**მეოთხე სემესტრში** სტუდენტი სწავლობს შვიდ საგანს (ჯამში 30 კრედიტი). მათგან ერთი არჩევითია (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 – 4 კრედიტი), სამი კი – ირჩევა არჩევითი ბლოკებიდან (ბლოკები 2, 3 და 4). ასევე ისწავლება თავისუფალი კომპონენტი.

**მესამე სასწავლო წელი:** სტუდენტი სწავლობს 6-6 საგანს თითოეულ სემესტრში და აკეთებს არჩევანს 8 არჩევითი ბლოკის მიხედვით. ასევე ისწავლება საგნები გარემოს დაცვა და ეკოლოგია (5 კრედიტი), შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა (4 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტი.

**მეხუთე სემესტრში** სტუდენტი სწავლობს ექვს საგანს, რაც ჯამში 30 კრედიტს შეადგენს. სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი მონაცემთა ბაზების საგნებში (5 კრედიტი) , და 4 არჩევითი ბლოკიდან (5-8) ნ. ამ სემესტრში ისწავლება გარემოს დაცვა და ეკოლოგია. ერთერთი ალცევიითი ბლოკი სთავაზობს თავისუფალი კომპონენტის შესწავლას. ისინი, ვინც ამ თავისუფალ კომპონენტს აქ არ აირჩევენ, შემდეგ აირჩევენ თავისუფალ კომპონენტს მერვე სემესტრში.

**მეექვსე სემესტრში** ისწავლება 4-კრედიტიანი საგანი „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, თავისუფალი კომპონენტი, დანარჩენ საგნებს სტუდენტი ირჩევს არჩევითი ბლოკებიდან (სულა არის 4 არჩევითი ბლოკი 9-12). ჯამში სტუდენტი სწავლობს 6 საგანს ( 30 კრედიტი).

**მეოთხე სასწავლო წელი. მეშვიდე სემესტრში:** სტუდენტი სწავლობს 6 საგანს (ჯამში 30 კრედიტი), აქ სტუდენტი გადის პრაქტიკას. ამასთან ერთად მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი 3 არჩევითი ბლოკის მიხედვით და შეისწავლოს თავისუფალი კომპონენტი

**მერვე სემესტრში** ისწავლება 6 საგანი (30 კრედიტი). სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ექვსი არჩევითი ბლოკის მიხედვით. ერთ-ერთ ბლოკში გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტის სწავლა. სულ თავისუფალი კომპონენტი ისწავლება 25 კრედიტის მოცულობით.

## პროგრამის მიზანი

სასწავლო პროგრამის მიზანია მისცეს ბაკალავრს ზოგადი ცოდნა ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების, კომპიუტერული და პროგრამული ინჟინერიის სფეროში ძირითადი საკითხების შესახებ. კერძოდ, მომზადდება სპეციალისტი, რომელსაც ექნება თანამედროვე დონის სისტემური, მეთოდოლოგიური, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური, ინფორმაციულ-ანალიტიკური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს წარმატებით მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა პროფილის ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების დაპროექტებაში, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სამსახურის ორგანიზებაში, ფორმის, საწარმოს და ორგანიზაციის ინფორმაციული რესურსების განავითარებაში. გარდა ამისა მას შეეძლება თანამედროვე კომპიუტერული სისტემების, მათ შორის მონაცემთა ბაზებით აღჭურვილი სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების და კომპიუტერული ქსელების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატაცია, სერვისული მომსახურება, გამართვა და პროექტირებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში მონაწილეობა.

## სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### – ცოდნა და გაცნობიერება:

- ინფორმატიკის სფეროს მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების, მონაცემთა ბაზებისა და სამრეწველო და კომპიუტერული ქსელების მომსახურების; ინფორმაციული პროცესების შესწავლისა და ორგანიზების მენეჯმენტის, ბიზნესის; ინფორმაციული სისტემების პროგრამული, ტექნიკური, ორგანიზაციული, უზრუნველყოფისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მუშაკებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, პროფესიული საქმიანობის საზღვრების გაცნობიერებას;
- სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ათვისება.

### – ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება ინფორმატიკის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
- ინფორმატიკის სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათ შორის პერსონალური პროგრამული სისტემების გამოყენება. მოდელირების, ალგორითმიზაციისა და პროგრამირების საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენება;
- ინფორმაციული და კომპიუტერული სისტემების დაპროექტებაში, დამუშავებაში, ინტეგრირებასა და დანერგვაში მონაწილეობის მიღება;
- კომპიუტერული სისტემების, მათ შორის მონაცემთა ბაზებით აღჭურვილი სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატირება, სერვისული მომსახურება და გამართვა.
- კომპიუტერული ქსელების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დამოუკიდებელი ექსპლუატაცია, სერვისული მომსახურება და გამართვა.

### – დასკვნის უნარი:

- მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მათი გააზრება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ინფორმატიკის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების ანალიზი და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების გააზრება სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- ინფორმატიკის და კომპიუტერული ინჟინერიის სფეროში საბაზო ინფორმაციისა და ძირითადი პრინციპების და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

### – კომუნიკაციის უნარი:

- საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად

გამოყენება;

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან, საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ წარდგენა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკურად მათი ნათლად დასაბუთება.
- ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა.

**- სწავლის უნარი:**

- სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი თვითშეფასება;
- შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;
- პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, პროფესიულ ინტერესთა სფეროს განსაზღვრა განსაზღვრა.

**- ღირებულებები:**

- ინფორმატიკის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად;
- პროფესიული ღირებულებების (სიუზსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვა;
- ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

- ლექცია    სემინარი (ჯგუფში მუშაობა)    პრაქტიკული    ლაბორატორიული  
 პრაქტიკა    საკურსო სამუშაო/პროექტი    დამოუკიდებელი მუშაობა    კონსულტაცია

**სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები**

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდითა და ერთი აქტივობით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდისა აქტივობის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს აქტივობათა შერწყმას. სწავლების პროცესში აქტივობები ერთმანეთს ავსებენ.

გთავაზობთ სწავლება-სწავლის ყველაზე გავრცელებულ აქტივობებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო აქტივობას, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

**1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**5. შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო

უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

**6. გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**7. როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**8. დემონსტრირების მეთოდი** – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**9. ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**10. დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**11. ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**12. სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**14. წერიტი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**15. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**17. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

## დასაქმების სფერო

ორგანიზაციები და კომპანიები, სადაც ხორციელდება კომპიუტერული სისტემების, ჩაშენებული მიკროპროცესორული სისტემების, მონაცემთა ბაზების და სამრეწველო და კომპიუტერული ქსელების პროექტირება, სერვისული მომსახურება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება; ინფორმაციული პროცესებისა და ნაკადების კვლევა და ორგანიზება მენეჯმენტის, ბიზნესის, სოციალურ სფეროებში; გადაწყვეტილებათა მიღების კომპიუტერული მხარდაჭერა მენეჯმენტის, ბიზნესისა და სოციალურ სფეროებში; საინჟინრო-ეკონომიკური და ფინანსური გაანგარიშებები; ინფორმაციული სისტემების პროგრამული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, უზრუნველყოფა და ინფორმაციული უსაფრთხოება. ასეთი ორგანიზაციებია: „ჰადელბერგემენტი“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტის ცენტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაცია, „კავკასიის ფონდი“, შპს „კომპიუტერული დაპროექტების ცენტრი“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“, სსიპ ფინანსთა სამსახურის აკადემია, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს "საქპატენტი", შპს „ჯეონეთი“, ჯეოსელი, მაგთი და ა.შ.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

## თანდართული სილაბუსების რაოდენობა:

### პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	საინჟინრო მათემატიკა 1	არ გააჩნია	5							
2	ფიზიკა 1	არ გააჩნია	5							
3	კომპიუტერული უნარები	არ გააჩნია	6							
4	შესავალი სპეციალობაში	არ გააჩნია	4							
5	დაპროგრამების საფუძვლები	არ გააჩნია	6							
<b>არჩევითი 1</b>										
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) 1	არ გააჩნია	5							
6.2	უცხოური ენა (რუსული) 1	არ გააჩნია								
6.3	უცხოური ენა (გერმანული) 1	არ გააჩნია								
6.4	უცხოური ენა (ფრანგული) 1	არ გააჩნია								
7	საინჟინრო მათემატიკა 2	საინჟინრო მათემატიკა 1	5							
8	ფიზიკა 2	ფიზიკა 1	5							
9	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება	დაპროგრამების საფუძვლები	6							

10	თავისუფალი კომპონენტი	არ გააჩნია	5																
<b>არჩევითი 2</b>																			
11.1	უცხოური ენა (ინგლისური) 2	უცხოური ენა (ინგლისური) 1	5																
11.2	უცხოური ენა (რუსული) 2	უცხოური ენა (რუსული) 1																	
11.3	უცხოური ენა (გერმანული) 2	უცხოური ენა (გერმანული) 1																	
11.4	უცხოური ენა (ფრანგული) 2	უცხოური ენა (ფრანგული) 1																	
<b>არჩევითი 3</b>																			
12.1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა	არ გააჩნია	3																
12.2	შესავალი კომპიუტერულ გრაფიკაში	არ გააჩნია																	
<b>არჩევითი 4</b>																			
13.1	დისკრეტული მათემატიკის ელემენტები	საინჟინრო მათემატიკა 1	5																
13.2	კომპიუტერული მათემატიკის საფუძველები	საინჟინრო მათემატიკა 1																	
14	ფიზიკა 3	ფიზიკა 2	5																
15	შესავალი მონაცემთა ბაზებში	შესავალი სპეციალობაში	5																
<b>არჩევითი 5</b>																			
16.1	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია	5																
16.2	ფილოსოფიის შესავალი	არ გააჩნია																	
16.3	სოციოლოგია	არ გააჩნია																	
16.4	გამოყენებითი ფსიქოლოგია	არ გააჩნია																	
16.5	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ გააჩნია																	
<b>არჩევითი 6</b>																			
17.1	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++/C# -ის ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება	5																
17.2	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Java -ს ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება																	
17.3	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Visual Basic -ის ბაზაზე)	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება																	
18	საგანი არჩევითი ბლოკიდან 1		5																
19	საგანი არჩევითი ბლოკიდან 2			5															
20	ვებ-ტექნოლოგიების საფუძველები	კომპიუტერული უნარები		4															
21	ოპერაციული სისტემები	კომპიუტერული უნარები		4															



22	საგანი არჩევითი ბლოკიდან 3					4			
23	საგანი არჩევითი ბლოკიდან 4					4			
24	თავისუფალი კომპონენტი	არ გააჩნია				5			
<b>არჩევითი 7</b>									
25.1	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C# -ის ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++/C# -ის ბაზაზე)				4			
25.2	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (Java -ს ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Java -ს ბაზაზე)							
25.3	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (Visual Basic -ის ბაზაზე)	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (Visual Basic -ის ბაზაზე)							
<b>არჩევითი 8</b>									
26.1	მონაცემთა ბაზების დაპროექტება და პროგრამული რეალიზაცია (SQL სერვერის ბაზაზე)	შესავალი მონაცემთა ბაზებში				5			
26.2	მონაცემთა ბაზების დაპროექტება და პროგრამული რეალიზაცია (ORACLE-ს ბაზაზე)	შესავალი მონაცემთა ბაზებში							
27	საგანი არჩევითი ბლოკიდან 5					5			
28	საგანი არჩევითი ბლოკიდან 6					5			
29	საგანი არჩევითი ბლოკიდან 7					5			
30	საგანი არჩევითი ბლოკიდან 8					5			
31	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	არ გააჩნია				5			
32	საგანი არჩევითი ბლოკიდან 9						5		
33	საგანი არჩევითი ბლოკიდან 10						6		
34	საგანი არჩევითი ბლოკიდან 11						5		
35	საგანი არჩევითი ბლოკიდან 12						5		
36	საინჟინრო უსაფრთხოების საფუძვლები ინფორმატიკასა და მართვის სისტემებში	საინჟინრო მათემატიკა 1, ფიზიკა 1					4		
37	თავისუფალი კომპონენტი	არ გააჩნია					5		



			ECTS კრედიტი									
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
2.1	ციფრული ტექნიკის ფიზიკური საფუძვლები	ფიზიკა 3				5						
2.2	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	საინჟინრო მათემატიკა 1										

### არჩევითი ბლოკი 3

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
3.1	ელექტრონიკა	ფიზიკა 2				4						
3.2	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები	კომპიუტერული უნარები										

### არჩევითი ბლოკი 4

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
4.1	გადამრთველი სქემების თეორია	კომპიუტერის არქიტექტურა				4						
4.2	ორგანიზაციული მართვის სისტემების საფუძვლები	შესავალი სპეციალობაში										
4.3	გამოყენებითი პროგრამების დეველოპმენტის საფუძვლები	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება1										
4.4	შესავალი ხელოვნურ ინტელექტში	შესავალი სპეციალობაში										
4.5	კომპიუტერული გრაფიკის ტექნოლოგიები	არ გააჩნია										
4.6	ადამიანური რესურსების მართვა	კომპიუტერული უნარები										

### არჩევითი ბლოკი 5

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი									
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
5.1	კომპიუტერის ორგანიზაცია	გადამრთველი სქემების თეორია, კომპიუტერის არქიტექტურა					5					

5.2	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები ან კომპიუტერული ქსელები							
5.3	Web-აპლიკაციების დაპროგრამება (JavaScript, AngularJS, jQuery)	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები							

### არჩევითი ბლოკი 6

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი														
			I წელი				II წელი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII							
6.1	ციფრული სქემატექნიკა 1	ელექტრონიკა ,გადამრთველი სქემების თეორია															
6.2	ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები	შესავალი სპეციალობაში						5									

### არჩევითი ბლოკი 7

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი														
			I წელი				II წელი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII							
7.1	კომპიუტერული ქსელები	კომპიუტერის არქიტექტურა															
7.2	ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	კომპიუტერული უნარები															
7.3	ვიზუალური დაპროგრამება (C#.NET, WorkflowFoundation.NET)	<b>ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2</b>															
7.4	სახეთა ამოცნობის საფუძვლები	შესავალი ხელოვნურ ინტელექტში						5									
7.5	ვებ დაპროგრამება PHP 1	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები															
7.6	მონაცემთა კომპიუტერული ანალიზი	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა															
7.7	ინფორმატიკის ალბათური მოდელები	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა															

### არჩევითი ბლოკი 8

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი														
			I წელი				II წელი										
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII							

			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
8.1	სიგნალების ციფრული დამუშავება	ელექტრონიკა					5			
8.2	თავისუფალი კომპონენტები	არ გააჩნია								

### არჩევითი ბლოკი 9

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
9.1	ციფრული სქემატექნიკა 2	ციფრული სქემატექნიკა 1								
9.2	ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები	არ გააჩნია						5		

### არჩევითი ბლოკი 10

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
10.1	მიკროპროცესორული მოწყობილობები	ციფრული სქემატექნიკა 1								
10.2	პორტაბელური მოწყობილობები და მათი პროგრამული უზრუნველყოფა	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები ან ოპერაციული სისტემები								
10.3	სისტემების ობიექტზე ორიენტირებული ანალიზი და დაპროექტება	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 (C++/C#)						6		
10.4	ვებ დაპროგრამება JavaScript 1	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები								
10.5	ინფორმაციული მოდელები მათვაში	ალბათობის თეორია და მათ სტატისტიკა								

### არჩევითი ბლოკი 11

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
11.1	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება (5.2)	კომპიუტერული ქსელების საფუძვლები ან კომპიუტერული ქსელები								
11.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ორგანიზაციაში	ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების საფუძვლები						5		
11.3	დაპროგრამება Java-ენაზე	მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება								

11.4	პროგრამული სისტემების მენეჯმენტის საფუძვლები	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2								
11.5	ნეიროინფორმატიკის საფუძვლები	შესავალი ხელოვნური ინტელექტი								
11.6	ვებ დაპროგრამება PHP 2	ვებ დაპროგრამება PHP 1								
11.7	სოციალური ქსელების დაპროექტება	ვებ ტექნოლოგიები საფუძვლები								
11.8	გამოყენებითი სტატისტიკა	ალბათობის თეორია და მათ სტატისტიკა								

### არჩევითი ბლოკი 12

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
12.1	კომპიუტერის პერიფერიის ორგანიზაცია	კომპიუტერის არქიტექტურა, ოპერაციული სისტემები								
12.2	ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები	ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების საფუძვლები								
12.3	Web-აპლიკაციების მომხმარებელთა ინტერფეისების დაპროგრამება: XML, AJAX	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები						5		
12.4	ინტელექტუალური საინფორმაციო ტექნოლოგიები	ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები								

### არჩევითი ბლოკი 13

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
13.1	ჩამენებული სისტემები	მიკროპროცესორული მოწყობილობები, კომპიუტერის არქიტექტურა, ციფრული სქემატექნიკა 2								
13.2	კორპორაციული ინფორმაციული სისტემები	ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების საფუძვლები							5	
13.3	ღრუბლოვანი და გრიდ კომპიუტინგი	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება								
13.4	ინტერაქტიული ვებ-საიტების დაპროექტება	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები								

13.5	ხელოვნური ნეირონული ქსელების არქიტექტურა და სინთეზი	ნეირონფორმატიკის საფუძვლები							
13.6	ვებ-ტექნოლოგიები (Python Django FrameWork)	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები							
13.7	ინფორმაციული მენეჯმენტი	ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების საფუძვლები							

**არჩევითი ბლოკი 14**

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი	III წელი		IV წელი		
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
14.1	საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება	კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება								
14.2	სისტემური ანალიზი და დაპროექტება	ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების საფუძვლები								
14.3	ინტერაქტიული ვებ-საიტების დაპროექტება (13.4)	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები								
14.4	დაპროგრამება Java-ენაზე (11.3)	<b>მონაცემთა სტრუქტურები და დაპროგრამება</b>							5	
14.5	პროგრამული სისტემების რეალიზაციის CASE ინსტრუმენტული საშუალებები	სისტემების ობიექტზე ორიენტირებული ანალიზი და დაპროექტება								
14.6	ვებ ტექნოლოგიები C# -ის ბაზაზე (Asp.net ) 1	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები								
14.7	კომპიუტერული ტექნოლოგიები ფინანსურ დაგეგმვაში	კომპიუტერული უნარები								
14.8	კლასიკური კრიპტოსისტემები	ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები								

**არჩევითი ბლოკი 15**

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი	III წელი		IV წელი		
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
15.1	სპეციალიზირებული ოპერაციული სისტემები	კომპიუტერის არქიტექტურა, ოპერაციული სისტემები								
15.2	საბანკო – საფინანსო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები	ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების საფუძვლები							5	
15.3	განაწილებული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle	შესავალი მონაცემთა ბაზებში								

15.4	მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების საფუძვლები (SQL-Server)	მონაცემთა ბაზები დაპროექტება (SQL-Server ბაზაზე)								
15.5	ცოდნის მოძიება მონაცემთა ბაზებში	შესავალი ხელოვნურ ინტელექტში								
15.6	ვებ დაპროგრამება JavaScript 2	ვებ დაპროგრამება JavaScript 1								
15.7	საქმიანი თამაშები	კომპ უნარები								
15.8	გამოყენებითი სტატისტიკის პროგრამული პაკეტები	გამოყენებითი სტატისტიკა								

### არჩევითი ბლოკი 16

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
